№ 115
ივნისის 5 ოთხშაბათი, 1902 წ.
1877

ივერია

№ 115
ივნისის 2, ოთხშაბათი, 1902 წ.
1902

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ივერიის“ ხელის-მოწმწერლებს

ვისაც ხუთის მანეთის მეტი არ შემოუტანია დღემდე, ვთხოვთ დააჩქაროს დანარჩენის წარმოდგენა. უამისოდ 10 ივნისიდან გაზეთის გზავნა მოესპობათ. (6—5)

მაისის 16-დგან „ივერიის“ რედაქცია გადმოვიდა სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურობის ქარვასლაში, გალერეია №№ 117 და 118, თ. გრ. ნ. დიასამიძის სტამბის გვერდით. (10—10)

პირველ თიბათვიდგან წლის დამლევამდე გაზეთი

„ივერია“

ღირს ექვს მანეთად და ათ შაურად (6 მ. 50 კ.)

ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

ხელის მოწერა მიიღება:

ტფილისში:—„ივერიის“ რედაქცია (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117 და 118) და ქ. შ. წერა-კითხვ. გამავრც. საზოგ. წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურ. ქარვასლა).
ქუთაისში:—ბეჟანეიშვილის წიგნის მაღაზიასა და ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიაში.
ბათუმში: მ. ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში).
ბაქოში:—ხიდდეკელის წიგნის მაღაზია (ნიკოლოზის ქ., ქალანთარის ქარვასლის პირდაპირ).
ხონში:—ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიაში.
შოლარპანში:—პაოთენ ნასიძესთან.

ცალკე ნომრები, ტფილისს გარეთ, იყიდება ქუთაისსა და ხონში ზემოხსენებულს წიგნის მაღაზიებში და ბათუმში ს. ჭელიძის წიგნის მაღაზიაში.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція „Иверіа“.

გაზეთი „ივერია“

რომლის გამომცემელია დღეს თ. ი. გ. ჭავჭავაძე,

გადადის საკუთრებად „ივერიის“ ამხანაგობის ხელში.

ამხანაგობამ უფლება ამ გაზეთის გამოცემისა შეიძინა ნოტარიუსის წესით დამტკიცებულ ხელ-შეკრულობით 6 აპრილს 1902 წ.

ამხანაგობაში მონაწილეობას იღებენ: თ. ამირეჯიბი, როსებ თადეოზის-ძე, დოქტორი ვაწაძე, სპირიდონ იოსების-ძე, დოქტორი გაბაშვილი, დიმიტრი გრიგოლის-ძე, ლოლობერიძე, ნიკოლოზ ბესარიონის-ძე, გოგებაშვილი იაკობ სვიმონის-ძე, გძელიშვილი გიორგი ივანეს-ძე, გუნცაძე ირაკლი ალექსანდრეს-ძე, თ. დიასამიძე, გრიგოლ ნიკოლოზის-ძე, ჯაბადარი, ივანე სპირიდონის ძე, მესხი, კონსტანტინე დავითის-ძე, მიქაბერიძე, ალექსანდრე ნიკოლოზის-ძე, სარაჯიშვილი, ალექსანდრე ივანეს-ძე, დოქტორი ჩიქოვანი, ყარამან მანუჩარის-ძე და ყიფშიძე, გრიგოლ თეოდორეს ძე.

ამხანაგობის თანხა განსაზღვრულია 15,000 მან., განყოფილი 1,500 პაით, 10 მან. თითო პაი.

ვისაც სურს შეიძინოს პაი, კეთილ-ინებოს და მიჰმართოს „ივერიის“ რედაქციას, რომელიც იმყოფება სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურობის ქარვასლაში, №№ 117 და 118.

ამხანაგობის საზოგადო კრებაზედ ხმა აქვს მხოლოდ იმას, ვინც შეიძენს არა ნაკლებ ათის პაისა.

რედაქციაში შეიძლება მსურველმა მიიღოს ეგზემპლიარი ხელ-შეკრულობისა.

გამოვიდა და იყიდება

ახალი წიგნი

„ზღაპრები“.

ექვსი ხალხური ზღაპარი ა. მრევლიშვილის მიერ დასურათებული, მშვენიერ ქაღალდზედ დაბეჭდილი და გოგიაშვილის მიერ დასურათებულის ყდით.

ფასი ერთი მანეთი.

იყიდება ქ.-შ. წ.-კ. გ. საზ. მაღაზიაში და გამომცემელ ამხანაგობის კიოსკში. (5—2)

ისყიდება

ხელ-მისაცემ პირობის აღმასრულებელი ფურცელი, მიღებული ოლქის სასამართლოს მიერ იმის შესახებ, რომ გარდაჰხდეს გორის მაზრის სოფ. ახრისის მცხოვრებელს იოსებ ყანჩელს გრიგოლ მესროფოვის სასარგებლოდ 650 მან. იკითხეთ ავჭალის ქუჩაზედ, სახლი № 103, გამაზოვი. (4—2)

ექიმი

ალექსანდრე გიორგის ძე

მაღალაშვილი

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშვო ნეულებით ავადმყოფებს დილის 12—2-დე და საღამოთი 4—5-დე. მიიღებს აგრეთვე საექიმო ქიმიურ-მიკროსკოპიულ და ბაქტერიოლოგურ გამოკვლევათ. ოქრომჭედლებსა ქუჩა, № 40, თულაევის სახლი. წ.

ქართველ ქალთა

ამხანაგობა

სამკერვალოსა და სახელოსნო სკოლაში იღებს ყოველ-გვარ საკერავს: კაბებს, თეთრეულს, ქარგვას და საცვლებზედ ამოჭრავენ ნიშნებს (мѣтки). ბარონის ქუჩა № 12.

კავკასიის სამოსწავლო ოლქის ნებართვით 5 თიბათვიდგან 20 მარიამობისთვემდის გახსნილ იქმნება დაბ. სურამში

სარეპეტიციო და მოსამზადებელი კლასები

მასწავლებლად არიან მოწვეულნი სპეციალისტნი, მაღალ სასწავლებლებში კურს-დამთავრებულნი. ვამზადებთ აგრეთვე კავკავის კორპუსისათვის.

მმართველნი კლასებისა ალ. ივ. ნათაძე და პერ. მიხ. კორსანიდი.

ვინც ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების წევრთა წლიურ საზოგადო კრებას, ამა წლის მაისის 19 და 25 დღესა, დაესწრო და საქმეთა განხილვაში მონაწილეობა მიიღო, პატივისცემით ვსთხოვ, რა აზრიც წარმოსთქვა, თუ ჰსურს უცვლელად იქნეს მოქცეული ვრცელ პროტოკოლში, წერილობით წარმოადგინოს, მხოლოდ ყოველისავე საგნის შესახებ ცალკე მუხლ-მუხლად, და არა უგვიანეს სამის კვირისა.

საქმის მწარმოებელი ს. მირიასაშვილი. (6—1)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.
ყ. მ. ჩიქოვანი. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.
კ. ი. გძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა, და ცხვირის ავადმყოფობისა.
ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამოობით:

კ. ი. გძელიშვილი. 5—6 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის ავადმყოფობისა.
ა. ნ. შკაკოვსკი. 6—7 ს. ნერვებისა (ელექტროთერაპია), შინაგან და ვენერიულ ავადმყოფობათა.
ბ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.
ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.
ბ. ა. თარხანოვი. 7—7½ საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ, ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница д-ра Навасардіанца. Тифлисъ, противъ памят. Ворон. (წლ.)

ტფილისის კერძო სამკურნალო

ვიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფთათვის კრაოტები

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილით:

ვ. ი. ჯიჯინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე.
მ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა 9—10 საათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.
ბ. ბ. მაღალაშვილი—შინაგან: სამშაბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით, 10—11 ს.
ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათ.
კ. მ. ელიოზიშვილი—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობათა, 11—12 ს.
დ. ა. გედევანიშვილი—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 საათ.
ა. ბ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12—1 საათ.
ბრ. ვ. სოგოლევსკი—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით 1—3 საათ.
ბ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანის და საშარდესი, 1—2 ს.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი, 5—6 საათ.
მ. ი. იანჩევსკი: ყურისა, ყელისა და ცხვირისა 5—6. კვირაობით დილის 12—1 საათამდის.

ა. ბ. მაღალაშვილი—შინაგან და ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

კვირაობით:

ბ. ბ. მაღალაშვილი—10—12 საათ., შინაგან ავადმყოფობათა. (წ.)

ტფილისი, თიბათვის 5-ს.

ამ რამდენისამე წლის წინად ტფილისის სამკურნალო საზოგადოების კრებაზედ ერთმა ექიმმა, ტომით სომეხმა, საჯაროდ განაცხადა, რომ სამკურნალო ცნობათა ხალხში გავრცელება ქართულის ენის საშუალებით შეუძლებელია, რადგანაც ქართულს ენას არა აქვს ჯერ-ჯერობით შემუშავებული ამ საგნისათვის სამეცნიერო ტერმინოლოგია, რომ ქართული ენა ღარიბია ამა თუ იმ სამკურნალო ცნების გამოსახატავადაო.

ამ საჯაროდ გამოცხადებულმა აზრმა თავის დროზე ერთი ალიაქოთი ასტეხა. ქართველმა საზოგადოებამ დიდ შეურაცხყოფად მიიჩნია ქართულის ენის ასე უსაფუძვლოდ შელახვა და ბეჭდვითის სიტყვის საშუალებით ღირსეული მსჯავრი დასდო ბ-ნ ექიმის უსაფუძვლო განცხადებას.

თუ-კი სხვა ტომის ექიმის მიერ ამ გვარი განცხადება სათაკილო და შეურაცხყოფელია, გასაკიცხი და დასაგმობია, რამდენად სათაკილო და გასაკიცხი უნდა იყოს, როცა ასეთსავე უსაფუძვლო აზრებს საჯაროდ წარმოსთქვამს ტომით ქართველი და ისიც საზოგადო ასპარეზზე მოღვაწე? ტომით სომეხს კიდევ მიეტევება ქართულის ენის წარსულის და აწმყოს არ ცოდნა და ამ უცოდინარობის გამო მისი დაწუნება, ხოლო ქართველს და მეტადრე საზოგადო ასპარეზზე მოღვაწეს-კი არასოდეს.

ქართველი საზოგადო მოღვაწე ქართველის ერის, გულისა და გონების გამომხატველია და ამის გამო იგი ქართველის ენის ღრმად მცოდნეც უნდა იყოს, რომ მისს გულის-ნადებს მიჰხვდეს და შეეძლოს მისი გამოთქმა.

ეს ანბანური ჭეშმარიტება ყველა ქართველ მოღვაწისათვის სავალდებულო უნდა იყოს. ჩვენ ასე გვგონია და ქუთაისში-კი თურმე ზოგიერთი საზოგადო მოღვაწე სულ სხვანაირად ფიქრობს.

ქუთაისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის რწმუნებულთა 30 წარსულ მაისის კრებაზე სწორედ ისეთი ამბავი მომხდარა, როგორიც ზემოხსენებულ საექიმო საზოგადოების კრებაზედ. ბ-ნ სილოვან ხუნდაძეს შეუნიშნავს ბანკის გამგეობისათვის, წლიურ ანგარიშში რუსულ ტექსტთან ერთად რატომ ქართული ტექსტიც არ ჩაურთეთო, რადგან ბანკის რწმუნებულთა შორის ბევრი ისეთია, რომელთაც რუსული სრულიად არ იციანო.

ჩვენ გვგონია, რომ ბ-ნ სილოვან ხუნდაძის შენიშვნა სრულიად საფუძვლიანი და კანონიერია და ამის საწინააღმდეგოდ თავის მართლება მარტო სიტყვის ბანზედ აგდებით მოხერხდებოდა. გამგეობა, იმის ნაცვლად რომ ეს შენიშვნა სამერმისოდ გამოეყენებინა, თავის გამართლებას გამოუდგა.

ბანკის მეორე დირექტორს თავ. ნ. ერისთავს ბ-ნ სილოვან ხუნდაძის საპასუხოდ განუმარტავს: „ანგარიშში ქართულ ტექსტის ჩართვა უსაფუძვლოდ მიმაჩნია, რადგანაც რუსულის უცოდინარი ვერც ქართულად გაიგებს რასმე იქ. ბევრი ტეხნიკური სიტყვაა შიგ და იმის გასაგებად მცოდნე სპეციალისტია საჭირო. განა, რუსულის არ მცოდნეს შეუძლიან ჩვენს ანგარიშში გაიგოს რამე?“

ეს განმარტება ბევრნაირადაა შესანიშნავი. რუსულის უცოდინარი ვერც ქართულად გაიგებს ბანკის ანგარიშსაო. ვითომ-და რა ისეთი ფილოსოფიური აზრებია განმარტებული ბანკის ანგარიშში, რომ რუსულის უცოდინარმა ვერა გაიგოს-რა! ბანკის ანგარიშის უმთავრესი დედა-ბოძი, რომელზედაც ტრიალებს ბანკის ავ-კარგიანობა,—ციფირებია, რომლის გაგება რუსულის ენის უცოდინარისათვისაც ადვილად მოსახერხებელია. რამდენიმე ტეხნიკური ტერმინი: ბალანსი, აქტივი, პასსივი, დებიტორი, კრედიტორი და სხვანი რუსულის ენის ცოდნას სრულიადაც არ მოითხოვს. ეს თუ ასეა, მაშ რატომ ვერ უნდა გაიგოს ქართველმა, რუსულის უცოდინარმა, ბანკის წლიური ანგარიში!

ბევრი ტეხნიკური სიტყვაა ჩართული ანგარიშშიო, გვეუბნება, და ამის გასაგებად სპეციალისტია საჭიროო.

არც ეს მოსაზრებაა საფუძვლიანი. ყველასათვის აშკარაა, რომ ბანკის სვე-ბედის გამგენი, რომელთათვისაც იწერება წლიური ანგარიში, შეუძლებელია ყველანი სპეციალისტები იყვნენ. ბანკის წესდების შემდგენელნი და სამინისტრო რომ დარწმუნებულნი ყოფილიყვნენ, ბანკის წლიურ ანგარიშის გაგება, თუ არ რუსულის მცოდნეს, სხვისთვის შეუძლებელიაო,—რუსულის ენის ცოდნას საგალდებულოდ გახდიდნენ თვითოეულ რწმუნებულისათვის. ვიდრე ეს ასე არ არის, თავ. ნ. ერისთავის მოსაზრება უსაფუძვლოდ უნდა ჩაითვალოს. აი, დასახელებული განმარტების ერთი მხარე.

უმთავრესი დედა აზრი თავ. ნ. ერისთავის განმარტებისა, ჩვენ-და სამწუხაროდ, ისა ყოფილა, ვითომც ქართულის ენის საშუალებით შეუძლებელია ბანკის ანგარიშის გათვალისწინებაო. განა, რუსულის არ მცოდნეს შეუძლიან გაიგოს რამე ჩვენს ანგარიშშიო, რეტორიულად კითხულობს თ-დი ნ. ერისთავი.

ვისაც ქართულ ენის წარსული და აწმყო ცოტათი მაინც გათვალისწინებული აქვს, იგი ქართულს ენას თავის დღეში არ წამოჰკიდებს ზურგზე ასეთს გაღატაკებას. საქართველო მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისამდე დამოუკიდებელი სახელმწიფო იყო და, აბა, რა საფიქრებელია, ამ სახელმწიფოს ცხოვრება ისე ვიწროდ ყოფილიყოს წრე-შემოვლებული, რომ უბრალო საფინანსო ცნებანიც არ ჰქონოდეს. ფილოსოფიური ტრაქტატები და თხზულებანი იწერებოდა ქართულს ენაზე და ასე როგორ დაეცა ქართული ენა, რომ უბრალო ბანკის ანგარიშიც-კი ამ ენაზე არ დაიწეროს. ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნთ-საცავში დაცულია მრავალი ხელთნაწერი თხზულება, რომელიც აშკარად ჰმოწმობს ქართულის ენის სიმდიდრეს, სიმშვენიერეს და ლაზათიანობას. რომელი დარგი მეცნიერებისა გსურთ, რომ ამ ხელთნაწერებში არ მოიპოვებოდეს და მერე როგორის ლამაზისა და გასაგების ენით დაწერილი. ყოველ ამის შემდეგ გამოვდივართ და საქვეყნოდ ვაცხადებთ, ქართული ენა ღატაკია, ამ ენაზე ბანკის უბრალო ანგარიშის დაწერა და გაგება შეუძლებელიაო.

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ის ხომ ცხადია, ქართული გაზეთები ქუთაისის ბანკის მოქმედების ანგარიშს ქართულს ენაზე სწერდნენ და სწერენ. თ-დ ნ. ერისთავს უთუოდ მოეხსენება, რომ ჩვენს ჟურნალ-გაზეთებს ბევრი ისეთი მკითხველიცა ჰყავს, რომელთაც ერთი სიტყვაც არ იციან რუსული და, მიუხედავად ამისა, გაზეთების მიერ მიწოდებული ცნობები კარგადაც ესმით ამის გამო დიდს ინტერესებსა და სიყვარულს იჩენენ ბანკის საქმეებში. თუკი გაზეთის თანამშრომლებს შეუძლიანთ ბანკის მოქმედების ანგარიში ქართულად სწერონ და ეს შესაძლებელია, ბანკის გამგეობისათვის რადაა იგივე მოუხერხებელი!? ენისა რა ბრალია, რომ გამგეობის წევრთ ქართული არ იცოდნენ! მოუხერხებლობას ჩვენ აქ ვერაფერ ვხედავთ და ამიტომაცაა, რომ სამწუხაროდ ვსთვლით გამგეობის მიერ თავის მართლებას.

ტფილისი

✦ დღეს, 5 ივნისს, საარტისტო საზოგადოების დარბაზში კრება ექნება ახლად შემდგარ „სტუდენტთა დამხმარებელ საზოგადოებას“. ამ კრებაზედ გამგეობის წევრთა არჩევანი უნდა მოხდეს. როგორც ვიუწყით, წინად არჩეული გამგეობა თავის ნებით გადადგა.

✦ ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლაში მომავალ სამოსწავლო წლისათვის მხოლოდ ორ განყოფილებაშია თავისუფალი ვაკანსია, პირველსა და მეორეში. პირველს განყოფილებაში—40, ხოლო მეორეში 13 ვაკანსია.

✦ ხვალ, 6 ივნისს, კრება ექნება „ბავშვთათვის მზრუნველ საზოგადოებას“. კრება მოხდება სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების სადგომში, საღამოს 7 საათზედ.

✦ დღეს, 5 ივნისს, ტფილისის სამოსამართლო პალატაში განსახილველად დანიშნულია განსვენებულ თავად დიმიტრი ჭავჭავაძის ანდერძის სადავო საქმე. ეს საქმე რამდენჯერმე გადაიდო და დღეს უსათუოდ გაირჩევა.

✦ კვირას, 9 ივნისს, ქართულ თეატრის ფოიეში, წაკითხული იქნება ქართულ სახალხო თეატრის წლიური ანგარიში. აგრეთვე მოხდება თეატრის სექციის წევრთა არჩევანი. მოთავენი თეატრისა სთხოვენ, ვისაც ინტერესები სახალხო თეატრის საქმე, მობრძანდნენ კვირას, დილის 11 საათზე, ქართულ თეატრის ფოიეში.

✦ დღეს, 5 ივნისისათვის, დანიშნულია ქალაქის საბჭოს კრება.

✦ 2 ივნისს საარტისტო საზოგადოების საადგომში საზოგადო კრება ჰქონდა ახლად შემდგარ „სომხურ დრამატიულ საზოგადოებას.“ სხვათა შორის, კრებამ აარჩია განსაკუთრებული კომისია, რომელსაც რეპერტუარის შედგენისა და პიესების თარგმნის საქმე აქვს მინდობილი. კომისიის წევრებად არჩეულ იქმნენ გ. ე. ფრიდონოვი, ვ. ნალბანდიანი, ა. ნ. თარხანიანი და ა. ს. ჩმიშკიანი.

✦ სახელმწიფო საბჭომ გადასწყვიტა გადასდოს ხაზინიდგან ბათუმში მართლ-მადიდებელთა სობოროს დასამთავრებლად: 1902 წელს—40,000 მან., 1903 წ.—40,000 მან. და 1904 წელს—დანარჩენი, რაც საჭირო იქნება.

✦ სომეხთა ტფილისის ნერსესიან სემინარიაში ეგზამენები დამთავრდა. წელს ამ სემინარიაში სწავლა 16 კაცმა დაამთავრა.

30 აპრილს, დრამატიულ დასის არტისტებმა: ქ-ნ გაბუნია-ცაგარლისამ, ბბ-ნთ ვ. ალექსიმესხიშვილმა, ვ. გუნაიმ, შათირიშვილმა და სვიმონიძემ, სტენის მოუგრეთა დახმარებით, გამართეს ქართული წარმოდგენა. ამ წარმოდგენის ხარჯს გარდა წმინდა შემოსავალი დარჩა 421 მ. 40 კ., რომელიც ზემოხსენებულმა არტისტებმა სრულიად შესწირეს ქართულ სახალხო თეატრის და ნაძალადევის უფასო სამკითხველოს სასარგებლოდ, რისთვისაც სახალხო თეატრის სექცია და ნაძალადევის სამკითხველოს გამგეები უგულითადეს მადლობას უცხადებენ შემომწირველთ.

საქართველოს
ამბები

ჩვენი ნიჭიერი მგოსანი—აკაკი, როგორც გვატყობინებენ, ერთი კვირაა შეუძლოთ არის თურმე. 29 მაისს ქუთაისიდგან სახურეში ბოეტის სიკვდილად წასული მგურნალი ჭიბინაძე. აკაკის გულის აკადმეოფობა ჭქონია.

—

მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ რკინის გზის ფინიკიელებთან და ასურელებთან, რომელთაც უგზავნიდა მონებს და საქართველოშივე მომზადებულ სპილენძის ჭურჭელს. სწორედ იმ დროს, როცა ქართველებმა განაცხოველეს სავაჭრო კავშირი ევროპასა და აზიასთან, ბევრმა მეზობელმა ერმა მტრულის თვალით დაუწყო ცქერა საქართველოს. ამ დროს უმთავრესს სავაჭრო ქალაქებს: მცხეთას, სურამს და შორაპანს უნდა ეთავათ სავაჭრო ურთიერთობის დაცვა და მთელის ქვეყნის მტრისაგან უზრუნველ-ყოფა. მტრის წინაშეშიში ქართველთა სხვა-და-სხვა თემებს უახლოვებს ერთმანეთს.

ალექსანდრე მაკედონელის მხედრობ-ს საქართველოს სხვა-და-სხვა ნაწილებში შემოსვამ, მატიანეს სიტყვით, ბევრად ხელი შეუწყო ქართველების გაერთიანების საქმეს. საქართველოს პირველმა მეფემ ფარნაოზმა განათავისუფლა ქვეყანა უცხოელებისაგან და ჩასდგა მკვიდრის მოქალაქობის საძირკველი. ფარნაოზის მეფობის დროს მოგონილ იქმნა ქართული ანბანი „მხედრული“; მის მეფობის დროსვე დამკვიდრდა საქართველოში ცეცხლის კულტი, შემოღებულ იქმნა ზოროასტრის მოძღვრება და აღმართეს არმაზის ღმერთის კერპი. ქართველებს ჰყვანდათ საკუთარი ღმერთებიც, მაგალ., არეი, აინანი, დაინანი და სხვ., რომელთა წინაშე ქართველები გალობდნენ სადიდებელ ჰიმნებს: „იავ-ნანა“, „დიდება“, „მზე შინა“ და სხვას.

საეკლესიო გალობის პირველ დასაწყის ხანად საქართველოში უნდა მივიღოთ მხოლოდ ქრისტიანობის შემოღების დრო.

საეკლესიო გალობის ისტორია შესაძლოა განაწილდეს ოთხ სხვა-და-სხვა ხანად. პირველი ხანა იწყება ქრისტიანობის შემოღებიდგან მეათე საუკუნემდის; მეორე ხანა მეთორმეტე საუკუნის გასვლამდის; მესამე—მე-XII საუკუნიდგან მეჩვიდმეტე საუკუნის ნახევრამდის და უკანასკნელი მეოთხე ხანა—ვიდრე ჩვენს დრომდის. თვითოეული მოხსენებული ხანა ბ-ნმა მონადირიშვილმა მოკლედ დაახასიათა და გააცნო საზოგადოებას საეკლესიო გალობის უმთავრესი ხასიათი.

ლექტორის სიტყვით, პირველ ხანაში ქართული საეკლესიო გალობა კერპთ-თაყვანის მცემლობის დროის მზა-მზარეულ მელოდიებით სარგებლობდა. ამ მოსაზრების დასამტკიცებლად ლექტორმა განმარტა, რომ ბევრი საერო სიმღერა და საეკლესიო საგალობელი კერპთ-თაყვანის მცემლობის დროისა ერთის ხასიათის მელოდიებითაა განმარტებული. მაგალითად, „შენ გიგალობ“ და საერო სიმღერა „ვინცა კაცია, არნანო“ სრულიად ერთისა და იმავე მელოდიითაა განმარტებული, ხოლო ეს უკანასკნელი სიმღერა, ყოველს ეჭვს გარეშეა, კერპთ-თაყვანის მცემლობის დროის მელოდიაა.

ივერიის ეკლესია თან და თან წარმატების გზას ადგია და ამის მიხედვით საეკლესიო გალობაც წარმატებაში მიდის. ეკლესიებში თან და თან შემოდის დროისა და შემთხვევის შესაფერი საეკლესიო მელოდიები. ამ ხანის საეკლესიო საგალობელთა თვალსაჩინო მთხზველად ჩაითვლება შიო მღვიმელი (VI საუკ.), რომლის მიერ შედგენილი ტროპარები ამ წმიდანის მონასტერში დღესაც იგალობება.

შიო მღვიმელის გარდა საეკლესიო საგალობლების მთხზველებად ცნობილნი არიან აგრეთვე სინას მონასტრის ბერ-მონაზონი იოანნე და მღვდელი იოანნე საბანისძე. მე-IX საუკუნის დასაწყისს ივერიის ეკლესიაში უკვე დამთავრებული საეკლესიო გალობა გაისმოდა. მეორე ხანა ჩაითვლება საეკლესიო გალობის სრულ განვითარების ხანად. საზოგადოებამ ამ დროს დიდი სიყვარული და ინტერესი გამოიჩინა საზოგადოდ ეკლესიის და კერძოდ საეკლესიო გალობისადმი. საეკლესიო გალობას თვითონ მეფეები დიდის გულმოდგინებით სწავლობენ და ამასთანავე დიდ მფარველობასაც უწევენ. მეფე დავითი ბურების გამო. როგორც უკანასკნელის ანგარიშიდგანა სჩანს, ინგლისმა სამხრეთ-აფრიკაში დაამარხა 1,055 ათეტერი და 20,520 ჯარის-კაცი. ამათ გარდ ინგლისში დაბრუნდა დაშავებული და დასნეულებული 3,030 ათეტერი და 70,942 ჯარის-კაცი. მიუმატეთ ამის 2,038,000,000 მანეთი და მიხვდებით, რა დიდი ზარალი ნახა ინგლისმა. ეგელა სხვა ინგლისის ადგილს დამარცხებულ ერს ლმობიერად არ მოექცეოდა და მოულ ზარალს ამის კისრიდგან ამოიღებდა.

საფრანგეთი. კლერიკალების არაფრად მოსწონთ ის გარემოება, რომ ბრეზიდენტმა სამინისტროს შედგენა კლერიკალების დაუძინებელ მტერს კომბის მიანდო. იმათი გაზეთები იგინებენ, რომ ოდესღაც კომბი სასულიერო სემინარიაში სწავლობდა და შემდეგ ბერადაც ემზადებოდა. აი, ამის შესახებ რას გადმოგვცემს ერთი კლერიკალური გაზეთი. ვიდრე ექიმად გახდებოდა კომბი დვთის-მეტყველებას სწავლობდა. საკვ�აო, სწერს გაზეთი, რომ კომბის ამხანაგებად ეოფილნ იცნონ ეხლა წინანდელი დვთის-მეტყველ სტუდენტი თეოდოგიისა, რომელიც იმათთან ერთად სწავლობდა ჯერ კასტრას, შემდეგ ალბას სემინარიაში და რომელიც ეხლა ანტიკლერიკალურ სენატორად გარდაიქცა. როდესაც კომბიმ თავისის ნიჭითა და შრომის-მოყვარეობით ეურადღება მიიქცია, მთავარ-ეპისკოპოსმა შეძლება მისცა სწავლა განეგრძო კარმელიტთა სკოლაში. როდესაც ბატმა კომბიმ—კომბი მაშინ უკვე ატარებდა მდგდლის ტანისამოსს—სორბონაში დოქტორის ხარისხი მიიღო, მან ორი თავისი თხზულება წარადგინა, ერთი ფრანგულად დაწერილი: „წმ. თომა აკვინელის ფსიხოლოგია,“ და მეორე დათინურად: „ბელიარი და წმ. ბერნარი.“ შემდეგ კომბი ლექციებსა კითხულობდა თურმე ერთ სასულიერო სასწავლებელში. რასაკვირველია, კომბი მაშინ ისეთი თავ-გაბოდებული რადიკალი არ იყო, როგორიც ეხლაა. მაგრამ გავიდა დრო და იმანაც ახრი და შეხედულება შეიცვალა. კომბიმ გაიხადა ანაფორა, ტოლი შეირთო და მეურნალობის შესწავლას შეუდგა. ამ რიგად კომბიმ ახალ-გაჯერდობაში კარგად შეისწავლა კლერიკალნი და, რადა დაბერავა უნდა, ეხლა ეფელზედ უკეთ მოახერხებს იმათთან ბრძოლას.

სამხრეთ-აფრიკა. ბოერების შემდეგ შალკ-ბურგერსა და ბოტას შემდეგის ეპისტოლეთი მიუმართავთ ბურებისათვის: „ამხანაგნო, ძმანო და მოქალაქენო! გულით გმადლობთ გმირობისა და იმ მსხვერპლისათვის, რომელიც შესწირეთ იმას, რაც თქვენთვის უძვირფასესი და უმაღლესი იყო. გმადლობთ მორჩილების და მოვალეობის უდრტვინველად ასრულებისათვის. ეხლა, ზავის დადების შემდეგ, გირჩევთ მშვიდობიანობა დაიცვათ და ბატიოვის-ტემით მოუბერათ ახალ მთავრობას. ორსავე სახელმწიფოს წარმომადგენელთაგან დანიშნული იქმნება კომისია ფულის გასანაწილებლად იმათ ქვრივთა და ობოლთა შორის, რომელთაც სიცოცხლე შესწირეს სამშობლოსა და თავისუფლებას და რომელთა ხსოვნასაც ჩვენი ისტორია არ დავიწყებს. ჩვენ გულითად თანაგრძნობას ვუცხადებთ ყველა იმათ, ვინც ამ ომში დაჭკარგეს ნათესავნი და მახლობელნი, ვთხოვთ ღმერთს, ძალა და ღონე მისცეთ თავიანთ ტანჯვის ასატანად. მადლობას ვუცხადებთ ქვრივებსა და ობლებს, რომელთაც ესოდენი დანაკლისი ჭნახეს და რომელნიც გაწირვების დროსაც-კი მამცნი და გულადნი გამოდგნენ. ეხლა, როდესაც ზავი დაიდო, შეიძლება ისეთი ომა, როგორიც ჩვენნა გვსურდა, მიეცეს ბოლოთ განგებას და წყვეტილ-ქით, საითაც იგი წაგვიყვანს. წმინდა სინიდისით შეგვიძლიან განვაცხადოთ, რომ $2^1/_2$ წელიწადს ჩვენნა ხალხი ისეთ პირობებში იბრძოდა, რომელიც მაგალითისაც ისტორიაში ვერას ვხედავთ. ეხლა ხელი-ხელ გადახვეულნი სხვა ბრძოლას შეეფეგეთ სულიერ და სოციალურ კეთილდღეობის დამყარებას. დავიფიწყოთ მყარე მოგონებანი და ვეცადნეთ გავიმრავლოთ იარანი.“

— ინგლისის მთავრობა ეხლა კრიუგერსაც კარგად ექცევა. ამას წინად ინგლისის მთავრობას შეუთვლია მოხუც ბრეზიდენტისათვის, თუ სამხრეთ-აფრიკაში წასვლა, საკუთარ გემს დაგითმობთო. მაგრამ კრიუგერს უარი უთქვამს და შეუტყობინებია, რომ ამ გემით მივდივარ, რომელსაც ჰოლანდიის დედოფალი ვილჰელმინა მითმობსო.

გერმანია. გერმანელი ბატრიოტნი თავისას არ იშლიან: სდევნიან ბოლონელებს და ამათ ბავშვებს, მოსწავლეებს. აი, ერთი გაზეთი რას გადმოგვცემს: ეოსტენში, სოფლის სკოლაში, მოსწავლეებს სამდვთო წერილის კაკვეთილზედ გერმანულად არ მიუგიათ. ერთ მოსწავლეს მასწავლებელმა აჩუქა წიგნი, ძველი ადოქმა, რადგანაც დედ-მამამ არაფრის გულისათვის არ უნდა სახელმძღვანელო. მაგრამ მასწავლებელმა მეორე დღეს უკანვე მიიღო წიგნი, რომელსაც ზედ ეწერა, რომ ბავშვი გერმანულ წიგნს არა სჯირო

ფერი გააჩნდეს, სოფელსაც მაინც ბევრს შესძენს და თავის თავსაც, თუ ჭკუითა და გულით გაუძღვა საქმეს.

მაგრამ, ჩვენდა საუბედუროდ, ბევრი, არა თუ ჭკუით და გულით სცდილობენ გაუძღვენ ხალხს, მეტადრე მივარდნილ ყრუ სოფლებს, არამედ გაურბიან კიდეც, არიქა მიშველეთ, სხვა ადგილას გადამიყვანეთო; იქ მიდა, კიდევ არ მოეწონება, არც აქ შემიძლიან გაძღებაო და ამნაირად დავდივართ აქეთ-იქით უნაყოფოდ, თითო-თითო წელიწადს და მით უფრო მეტს ზარალს ვაძლევთ საქმესაც და ჩვენს თავსაც, ვიდრე სარგებლობას. ეს სოფელი ყრუ სოფელიაო, ვერ გავძლებთო. სოფელი თითქმის ყველგან ყრუა და რაღას გადავდივართ ერთიდგან მეორეში და ვიორკეცებთ შრომას? სოფელი რომ განათლებული იყოს, მერე ჩვენ რაღა საჭირო ვიქნებით? ნამდვილი მღვდელი და ნამდვილი სოფლის მასწავლებელი განგებ უნდა მივდიოდეთ იმისთანა ყრუ სოფლებში, სადაც ჩვენივე მოძმენი სცხოვრებენ და სადაც უფრო საჭიროა დახმარება. მაგრამ სად არის? არც ერთნი და არც მეორენი, ჩვენდა სამწუხაროდ, არა ვართ ცხოვრებისათვის მომზადებულნი, რომ ასეთის დიდის საქმის, ამ ჩვენის პირდაპირის მოვალეობის შეასრულება შეგვეძლოს. თუ ყოველ დღე კარგი საქმელი არ გვექმნა სუფრაზედ და ტანზედ ოქროს-ფერ ფოლაქებიანი სერთუკები არ გვაცვია, როგორ გავძლებთ, ან რას გავაკეთებთ?! წმიდა მოციქულებს რომ ეძებნათ კარგი სახლი, მდიდრული ტანისამოსი და სუფრა, მაშინ მთელს ქვეყანას ვერ მოივლიდნენ და ვერ მოჰფენდნენ მაღალს და ჭეშმარიტს სწავლას იესო ქრისტესას. რამდენ ტანჯვას, რამდენ სიმშილს და სიცივეს ითმენდა წმიდა ნინო ქართველთ განმანათლებელი? ჩვენ-კი, უბადრუკებსა და უძლურებს, ვერ შეგვიძლია თუნდ ერთის პატარა სოფლისათვის მცირედის სარგებლობის მოტანა!

კი, მართალია, დიდით არაფრით შეგვეძლოს ეგებ დახმარება ხალხისა, მაგრამ რითაც შეგვეძლება, იმისთვის მაინც ნუ დავიშურებთ ჩვენს შრომას. ერთი ადვილად მოსახერხებელი მრეწველობაა ჩვენში—მეაბრეშუმეობა—ცოტათი მაინც სულის ჩამდგმელი ღატაკის ხალხისა, რომელსაც უჭირს არა თუ ტანთ შემოსვა ან სხვა-და-სხვა ხარჯების გადახდა, ლუკმაც-კი ცრემლით საძებარი აქვს, და ისიც ვერ მოგვიხერხებია როგორმე გაგვევრცელებინა იმ მივარდნილ არე-მარეში, სადაც არცკი იციან, რა არის აბრეშუმი. მთელს ქუთაისის გუბერნიაში იწვევენ აბრეშუმს მხოლოდ ქუთაისის მაზრასა, გურიასა და სამეგრელოს ორიოდე სოფელში. კიდევ უფრო ცოტას ტფილისის გუბერნიაში. დანარჩენ სოფლებისათვის ჯერ კაცს არ უჩვენებია, რა არის აბრეშუმი და ან შეიძლება თუ არა მისი მოწევა.

ექვი-კი არ უნდა ვიქონიოთ, რომ ორსავე გუბერნიაში ადვილად იხეირებს ეს საქმე თითქმის ყველგან. მაგალითად, ავიღოთ იმისთანა მაღალი ადგილი, შორაპნის მაზრა'მი, როგორც საწერეთლოა,—მშვენიერი პარკები გაიკეთა ჭიამ,—პირველადვე სამმა მისხალმა 80 გირვანქამდე აბრეშუმი მოგვცა და სიამოვნებით მიეგება ხალხი ასეთს კეთილ საქმეს. ორიოდე მოსახლემ კიდეც დაიწყო მისი მოვლა-მოწევა.

მეორე საქმე, რომელიც ამ პირველთან არის მტკიცედ დაკავშირებული, უფრო ადვილი გასაძღოლია. რადგან ბოლი (თუთა) იმ სოფელში, სადაც აბრეშუმს არ იწევენ, ნაკლებადაა, ამისათვის უნდა ვცდილობდეთ უმალ ბოლი გავამრავლოთ თუ თესვით, თუ ნერგების გამოწერით. მაგალითად, იმავე საწერეთლოში, პატივცემულ თავ. სვიმონ დავითის ძე წერეთლის შემწეობით, პირველადვე ათი ათასამდე ბოლის ნერგი მოვიტანეთ და ვახარეთ.

ამიტომ, ვისაც-კი ცოტაოდენი გრძნობა გაგვლვიძებია ჩვენის მოვალეობისა, ამ თავიდანვე უნდა ვეცადოთ ბოლის გამრავლებას. უბოლოდ მეაბრეშუმეობა მოუხერხებელია; ეს-კი სულ ადვილი საქმეა, მხოლოდ მოვინდომოთ-კი. რა უნდა იყოს თითო ოროლა მუჭა ბოლის თესლი მოვაგროვოთ და დავთესოთ და ხალხსაც ვასწავლოთ და შევაგონოთ, რომ დასთესონ და გააშენონ, რომ ძრიელ სასარგებლოა მეაბრეშუმეობა, რომელიც გადასახადებშიც მოეხმარება და სხვა საჭიროებაშიაც. ხონში და მის ახლო-მახლო სოფლებში თითო მოსახლე იწევს 50 მ.—100 მანეთამდე აბრეშუმის პარკს, და განა ეს ურიგოა?!

ვიცი, ბევრი იტყვის დაცინვით: „ეჰ, მე რომ აწი ბოლს დავთესავ და ეომესწრება, ის ნაადრი იქნებაო“, მაგრამ მერწმუნეთ, უმჯობესია, გვიან იყოს, ვიდრე არასოდეს. ასე მითხრეს მეც ამ ათის წლის წინად, რომ ბოლის ნერგს ვრგავდი, დღეს-კი ის ათის წლის ბოლები თითო ფუთზედ ნაკლებ ფოთოლს არ იძლევა. თუ არა და განა არ შეიძლება სამი-ოთხის წლის ბოლის ფოთლითაც კვება ჭიისა, თუ-კი ბლომად იქმნება?!

ურიგო არ იქნება, რომ საცა ბოლი ბევრია, მასწავლებელი და მღვდელი დაავალებდეს სკოლის პატარა შეგირდებს მოაგროვონ თესლი და ეს თესლი მიაწვდინონ ისეთ ადგილების მასწავლებლებს და მღვდლებს, სადაც ამაზედ ბიბუროშიც არ არის ხალხი, რაიცა შეეხება თვით ჩვენის სკოლის ბავშვებს, ისინი სიხარულით გვიგროვებენ უკვე ბოლის თესლს ცოტა რამ საჩუქრის დაპირებით.

სამწუხარო ერთი რამ არის აქ. ადვილად შეიძლება, ზოგმა ჩვენგანმა, უფრო „ახალ ამბების“ მიმდევარმა, არც-კი მიაქციოს ყურადღება ამ კეთილს საქმეს და არც წაიკითხოს; მეორემ შეიძლება წაიკითხოს, მაგრამ უკუ აგდოს დაცინვით; მესამემ წაიკითხოს, თანაუგრძნოს, მაგრამ მაინც არაფერი გააკეთოს. სხვები-კი უფრო მეტი უმრავლესობა, სრულიადაც არ იღებენ გაზეთებს სხვადა-სხვა მიზეზით. ეს დიდად სამწუხაროა. თუნდ იღებდნენ გაზეთს ყველა მასწავლებლები, მაგალითად, რაჭაში, რა გამოვა? რაჭა-ლეჩხუმში 12—13 მასწავლებელია და ათიოდე მღვდელი. მერე რაი? ორასი სოფელი რჩება ყვერდზე.—ამიტომ სასურველია, მარტო გაზეთის იმედით არ დავდგეთ. მიყრუებულ ქვეყნის ბლაღოჩინ-მღვდლებმა უნდა მიაქციონ განსაკუთრებული ყურადღება, წერილით მიჰმართონ თავის ოლქში მღვდლებს, რომ დროა გამოვიღვიძოთ და მივაქციოთ ყურადღება ასეთს სასარგებლო საქმეს. მაშინ შეიძლება ყველა სოფლის ყურამდე მიაღწიოს ამ საქმის სარგებლობის ამბავმა.

მაგრამ მარტო სიტყვით და სწავლებით არაფერი არ გაკეთდება მაინც. თვითონ მღვდელ-მასწავლებლებმა უნდა აჩვენონ ხალხს მაგალითი. ვგონებ, ეს დიდ შრომას არ მოითხოვს. სახალისოც-კია—სულ სჭირდება მთელს საქმეს ერთი თვის მოვლა. როგორც-კი დაინახავს ხალხი საქმის სარგებლობას, მაშინვე სიხარულით დაიწყებს თვითონაც აბრეშუმის მოწევას.

ამ ნაირად, ხალხს თუ რამე ექმნება, მაშინ მღვდლებსაც და მასწავლებელსაც კარგი ჯამაგირი გაუჩნდება. თუ ხალხს არაფერი აქვს, რა უნდა სთხოვო? გლეხ-კაცს საქმლის შოვნა უჭირს ხშირად, მაგრამ, საუბედუროდ, ყველა ვერ ჰხედავს მათს გაჭირვებას. ან როგორ დაინახავენ? როდესაც მასწავლებელი ან მღვდელი არის მიწვეული რომელსამე ოჯახში, საწყალი გლეხიც მოიქაჩალებს თავს: წამოაქცევს ცხვარს, ან ინდაურს და ქათამს, რომელსაც თავისთვისაც ვერ იმეტებს თვეში ერთხლის მეტად, და მათთან-კი თავს არ ირცხვენს.—აბა, მეორე და მესამე დღეს შორიახლო დაუკვირდი ისევ იმ გლეხს სადილად რა აქვს? დავიფიცავ, რომ ხშირად ლობიოც არ მოეძებნება;ლობიო რომ შემოელევათ (ბევრს ფხალიც), რაღაც „მამაკალიაო“,-მე თვითონ არ მინახავს,—იმას სჭამენ. ჩავაცივდი ერთს ბაშვს, რა საქმელია-მეთქი და მან მიპასუხა: „წყალში ჩაჭყრიან ფქვილს და ორ კაკალსაც უზმენ და ძრიელ კარგი შეჭამანდია უშეჭამანდობის დროსა“-ო.

ამას ვერც ერთი ვერ ვხედავთ, თუმცა სოფელში ვცხოვრობთ. ვხედავთ მხოლოდ, რომ მისი შვილები ნაკუწ-ნაკუწით აკერილ პერანგით, ან სუ ტიტვლები დადიან, მაგრამ თვალი გვაქვს შეჩვეული და გულს არ გვიწუხებს ეს გარემოება. ამის შემდეგ კიდევ გავიძახით გაზეთების ფურცლებზედ მასწავლებლებიცა და მღვდლებიცა: ჩვენზედ გაჭირვებული იქმნება კიდე ვინმე ქვეყანაზედაო? ამას სწერს, მაგალითად, მ. სტ. ბ.: „ვინც ჩვენს ცხოვრებას ჩააკვირდება, მორწმუნე იტირებს, გიჟი უფრო გადირევა, ჭკვიანი დაფიქრდება და დანაღვლიანდებაო და სხვ...“ და იმას-კი ვერ ვხედავთ, რომ ჩვენსავე მრევლში ბევრი ჩვენზედ უფრო გაჭირვებული ყოფილა და სატირალი, მაგრამ რაკი ჩვენც სიღარიბეში ვართ სხვა ღარიბი არ გვეცოდება. რომ გავმდიდრდეთ, სულ ვერ შევიტყობთ იმათ ტკივილსა და არც დავეხმარებით...

სოფლის მასწავლებელი გოგია მართალია.

—

უსამართლო საყვედურის გამო

(პასუხად მ. ეპ. ჩხაიძეს)

თუ გაიხსენებთ, მკითხველო, „ივერიის“ მე-94 №-ში ჩემი პატარა კორესპონდენცია იყო დაბეჭდილი ლანჩხუთიდგან აქაურ სკოლების შესახებ. ჩემს წერილში, სხვათა შორის, ვუსაყვედურებდი საქალებო სკოლის ხელ-საქმის განყოფილების ხელმძღვანელთ, მოსწავლეების ნორმაზედ ხუთჯერ მეტის მიღებას, რაც ყველა შეგნებული ადამიანი სასიამოვნოდ მიიღებდა, რადგანაც ეგ იყო სამართლიანი სხილება, საფუძვლიანი კრიტიკა,—და ნუ-თუ ეს ვისთვისმე საწყენი უნდა ყოფილიყო?! მაგრამ მ. ეპ. ჩხაიძე ჩემმა შენიშვნამ არა თუ ასიამოვნა, წინააღმდეგ, გააბრაზა. მერე რა დაამტკიცა ამ პასუხით?! ის, რომ მართალია, სექტემბერში 96 მოსწავლე იყო, მაგრამ დეკემბერში 67-ზე ჩამოვიდა და დღეს 30 მოსწავლე კიდევ ირიცხება სკოლაში; ხოლო ვინც თავი დაანება, სკოლის უწესრიგობას-კი არ მოუმოქმედნია, არამედ ოჯახის გარემოებამ აიძულაო.

ჩემს წერილში მოხსენებული ციფრები მოსწავლეთა სიმრავლის შესახებ თვით სკოლის მასწავლებლისაგან მქონდა მიღებული, მაგრამ რადგანაც მ. ეპ. ჩხაიძეს ჰსურს მისი შემცირება 67-ზე, დავეთანხმოთ, თუ ამითი მის მოქმედებას რაიმე ნათელი მოეფინება. მე ვუსაყვედურებდი ნორმაზედ მეტის მოსწავლეების მიღებას და მისი სიტყვიდგანაც ხომ ივივე მტკიცდება, როცა ამბობს:—67 მოსწავლე იყოო. ეს რიცხვიც ხომ ოთხჯერ მეტია ამგვარ სკოლების ნორმაზედ.

„ოჯახის გარემოებამ აიძულათ თავი დაენებებიათო“,—ვერაფერი თავის მართლებაა! გატეხილი უნდა გითხრა მ. ეპიფანე, რომ პირში არავინ გეტყვის, თუ რა მიზეზის გულისათვის დაანება თავი სკოლას. იქნება იმასაც ოჯახის გარემოებას უწოდებთ, თქვენს სკოლას თავი დაანებეს და კერძო მოხელეებს მიებარნენ ხელ-საქმის სასწავლად! თუ თქვენთან ექვსი მანეთის გადახდა გაუძნელდა (როგორც თქვენ ბრძანებთ), როგორ ახერხებენ, რომ კერძო მოხელეებს 20—25 მანეთს აძლევენ და ისე სწავლობენ იმავ ხელ-საქმეს, რაც თქვენს სკოლაში უნდა ესწავლათ ექვს მანეთად?!

აქ მასწავლებელი არაფერს შუაშია. ბრალი თქვენ გედებათ, რომ მიიღეთ იმდენი მოსწავლე, რამდენის სწავლება ერთს მასწავლებელს არ შეეძლო და წლის განმავლობაში ნემსის ხმარებაც-კი ვერ უსწავლიათ. ეგ ხომ ლექსი არაა, რომ ერთხელ გაზეპირებული ლიტონი სიტყვები ჩარჩეს თავში,—ჭრა და კერვას მასწავლებლის თვალ-ყური ეჭირვება და თუ მოსწავლეები იმდენია, რომ მასწავლებელს ერთ დღეს დათვლაც არ შეუძლია, როგორ უნდა ადევნოს თვალ-ყური და ასწავლოს!!.

„დღეს სკოლაში 30 მოსწავლე სწავლობსო“,—ეს თუნდაც რომ მართალი იყოს, მაინც რა ძალიან სახალისოა ამდენი მოსწავლის ყოლა, რაც თავი და თავი მიზეზია სკოლის უნაყოფობისა?!

დასასრულ, მ. ეპ. ჩხაიძე ერთს ცილს მწამებს, ვითომც წარსულს 1901 წელს, „კვალის“ 43 №-ში შევხვდიდე ი. საბაშვილს. მე ჩემს დღეში ორი სიტყვა არ დამიწერია „კვალის“ ფურცლებზედ, თუ არ რომელიმე საგნის საპასუხო წერილი, და ვსთხოვ მ. ეპ. ჩხაიძეს—მიჩვენოს ის „კვალის“ №, რომელშიაც ჩემი წერილი იყო დაბეჭდილი ბ. ი. საბაშვილის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში თავისი სიტყვები ჯკანვე წაიღოს.

ი. გოგიჩაიშვილი.

თეატრი და ხელოვნება

ქართულ დრამატიულ დასს, რომელიც გუნიას მეთაურობით დასავლეთ საქართველოს ქალაქებში წარმოდგენებსა ჰმართავს, ყველგან აღტაცებით ეგებებიან. ბათუმში დასმა სამი წარმოდგენა გამართა. სამსავე დიდ-ძალი ხალხი დაესწრო. საზოგადოებას ძალიან მოეწონა არტისტთა თამაშობა. ბათუმიდგან დასი სოხუმში გადავიდა. იქაც საზოგადოებამ აღტაცებით მიიღო დასი.

—

საოპერეტო დასის წარმოდგენებს „საარტისტო საზოგადოების“ თეატრში თითქმის ყოველ-დღე დიდ-ძალი ხალხი ესწრება. დასში კარგი არტისტები არიან და საზოგადოებას ძლიერ მოსწონს მათი წარმოდგენები.

—

მოსკოვში ეს არის ეხლა დაამთავრა წარმოდგენები თავ. ალექსი აკაკის ძის წერეთლის დასმა. მოსკოვში სწორედ ერთი თვე დაჰყო დასმა და საუკეთესო ოპერები წარმოადგინა. ადგილობრივი გაზეთები მადლობით იხსენიებენ დასს. აი რასა სწერს, სხვათა შორის, „რუსკ. ვედ.“-ი: „საზოგადოება მადლობელი უნდა იყვეს თავ. წერეთლისა: იმან ერთხელ კიდევ გაგვაგონა სიმღერა ცნობილ არტისტებისა—ფიგნერისა, ტარტაკოვისა, მორსკისა, კლემენტიევისა და კამიონსკისა და გაგვაცნო მრავალი ახალგაზრდა მომღერალი. ამათ შორის პირველად უნდა მოვიხსენიოთ კასტორსკი (ბასი), რომელსაც ყოველივე ხელს უწყობს, რომ პირველ ხარისხოვანი არტისტი შეიქმნეს. დანარჩენთაგან ყურადღება მიიქციეს ქ-ბთ გუშჩინისამ და შულგინისამ. ეს უკანასკნელი იმედს იძლევა, რომ თვალ-საჩინო მომღერალი შეიქმნება დრამატიულ როლებისათვის“.

თავადი ალექსი აკაკის ძე წერეთელი ამ ჟამად ტფილისშია.

—

შესანიშნავი იტალიელი დრამატურგი გაბრიელ დ' ანუნციო ამ ჟამად ორ პიესას აგვენს თურმე. ორივე მომავალ სეზონისთვის იქმნება მზად. პიესებს მაშინ წარმოადგენენ, როცა ელეონორა დუზე ამერიკიდგან დაბრუნდება.

წერილი რედაქციის მიმართ

პატივცემულო რედაქტორო!

თქვენ გაზეთ „ივერიის“ მე-110 ნომერში იყო დაბეჭდილი სოფელ კასპიდამ კორესპონდენცია, ვითომ თავადი ამილახვრების სოფელ კეხვიდამ, რომელიც კასპის მახლობლად არის თურმე, დაეტანონთ სქონელი და წამოესხათ; გზაზედ დასწეოდნენ პატრონები, დვანაძე მოეკლათ, ორის ამილახვრისათვის ეტემნათ და დანარჩენი ამილახვრები გამოქცეულიყვნენ.

ჭეშმარიტების ადსადგენად გთხოვთ ამ ჩემს წერილს ადგილი მისცეთ თქვენს პატივცემულ გაზეთში.

მე და ჩემ ძმას გვაქვს ტეე დუშეთის მაზრაში 1408 დღიური, კასპიდამ ოც-და-ათ ვერსის სიშორეზედ, სადაც სცხოვრებენ ცმეტი კომლი ოსი (ხიზანი) და სამსახურს გვაძლევენ მარტო ოთხ თუმან-ნახევარს უფელანი.

1899 წელს, 17 თებათვეს, მე მეგანდა მაწვეული ზემოხსენებულ მამულში დუშეთის მაზრის მომრიგებელი შუამავალი თავ. ივანე ედიზბარის ძე ერისთავი, რომელმაც დადგინა ხიზან ოსების აერა ჩემ მამულიდამ. ხიზნებმა შეატანეს სარჩოვარი საგუბერნიო საგლეხო საქმეთა სასამართლოში და მერე სენატშიაც, მაგრამ მათი სარჩოვარი უფურადღებოდ დასტოვეს და მომრიგებელ-შუამავლის განაჩენი დამტკიცებულ იქმნა და 21 თებერვალს 1901 წელს გამოეცხადათ ხიზნებს აერა ჩემ მამულიდამ.

14 მაისს ამა წელს მე და ჩემი ძმა გიორგი ამილახვარი წავედით სოფელ კასპიდამ ზემოხსენებულ მამულში ტეის დასათვალიერებლად, თან წავიყვანეთ სოფ. საკორინთელიდამ ჩვენი ნათლიმამა დავით დვანაძე და ა. ზ. ვასილ თუხარელი. მივედით ჩვენს მამულში, შემოვუარეთ ტეეს და ვნახეთ დახერხილი მასალა, დირებული 600 მანეთზედ მეტი. ჩავედით იქ, სადაც სახლობენ ხიზნები; მე, დვანაძე და თუხარელი დავრჩით ხიზნებთან, ხოლო ჩემი ძმა წავიდა სოფ. ახალგორს, რომელიც სამის ვერსის მანძილზედ მდებარეობს ჩვენ მამულიდამ და სადაც სცხოვრობენ ბ-ნი პოლიციის ბოქაული და მამასახლისი, მოსაწვევად ერთ-ერთისა ოქმის შესაყენებლად. მაგრამ არც ერთი შინ არ დაჭვედრილნენ და ამათ მაგიერ ამოიყვანა მამასახლისის თანაშემწე სოფო მორბელაძე, რომელმაც დაათვალიერა ტეე, დამზადებული შენობის მასალა და გამოუცხადა ხიზნებს: „ვიდრე ბრძანება არ აიღოთ ბ-ნ ბოქაულისაგან ან მამასახლისისაგან, არ დასძრათ ეს მასალა ტეიდგანაო“. ჩვენ-კი გვოხოვა, რომ ერთის კვირის უკან მოდიო, მაიღეთ როგორც ოქმი, ისე ეს მასალა-ცაო, რადგან მე უსწავლელობის გამო ვერ შემიძლიან შეკვეენო ოქმიო. ამ ცნობებს, რომელიც ესლა შეგვრიბე, წარვუდგენ ბ-ნს პოლიციის ბოქაულსაო. ჩვენ ავიღეთ ხიზნებისაგან სანდახე და დვანაძეთ შინ, ე. ი. სოფ. კასპში.

24 მაისს, როგორც ნათქვამი გვქონდა მამასახლისის თანაშემწესაგან, მე და ჩემმა ძმამ წავიყვანეთ თან იგივე თუხარელი და დვანაძე და წავედით ოქმის მისაღებად. როგორც მივედით ჩვენ ტეეში, შევხიშნეთ, რომ ერთი კაცი ხეს სჭრიდა და წინასწარ ჩვენგან ნახული მასალა წაღებული იყო. ამ კაცმა შეგვხიშნა თუ არა, მაშინვე შინისკენ გაჰკურცხდა. სადაც ხეს სჭრიდა, იქვე იყო ერთი ცხენი დაბმული. რომ გაგვეგო, ვინ იყო ხის მჭრელი, ავუყვეთ ცხენი და წამოვედით სოფლისაკენ.

შევატანეთ თუ არა სოფელს, მე და თუხარელი გავეგზავნეთ ზეკით უბისაკენ და ჩემი ძმა, დვანაძეთ საძიებურად ქვეით უბისაკენ. ამ დროს ზევით უბიდამ გამოვარდა ერთი დედაკაცი და თუხარელს ქვა დაარტყა თავში და თან გამოჰყვა ხალხი, შემოგვეხვივნენ და დაგვიწყეს ცემა: ზოგი ხანჯლებით და კეტებით გვცემდნენ. ჩემმა ძმამ და დვანაძემ თავადი შეგვასწრეს და გამოეშურნენ ჩვენსკენ, მაგრამ სუბედურად ამათაც ჩვენი დღე დადგა. ერთ მეკობურს, დექსო ქისიშვილს ცოდითურთ, თუ არ ეშველა ჩვენთვის და სახლში არ შეგვფარებინეთ, ეველას სიკვდილი გვედოდა. დვანაძე აგვსხლიტეს ჩვენ და სოფელს წვრილ-შვილ კაცს იმდენი სცემეს კეტებით, რომ დღე ნახევარი-და იტოტხლა. სიკვდილის დროს ადიარა, რომ მოგდული იქმნა ჩვენ ხიზნებისაგან ვანო და სოდომონ ქასოშვილისაგან.

ჩხუბის დროს ოსებმა გზები შეგვიკრეს, რომ ჩვენგანი არავინ გამოსულიყო ახალ-გორში და არ გვეცნობებინა პოლიციისათვის. როგორც იყო, ჩემი ძმა, თავ-გატეხილი, ტეე-ტეე გაეპარა, ჩავიდა სოფ. ბოლში სადაც ქართველები სცხოვრებენ და იქიდამ აცნობა პოლიციას.

თუმცა ახალ-გორი კეხვზედ, სადაც ჩვენ ვიყავით დაჭრილები, როგორც წინათ ვთქვი, სამ ვერსის მანძილზედ არის, და იქვე არის საავადმყოფო, მაგრამ ჩვენ პოლიციამ და ექიმმა მარტო მეორე დღეს ადმოგვიჩინეს შემწეობა.

ახლა ამას ვიტყვი, თუ ჩვენ გულში რაიმე ცუდი განზრახვა იყო ან ძალმომრეობა, ან მოტაცება საქონლისა, უაირადოდ არ წავიდოდით და ტეეს, რომელიც ტეიდგან წამოვიყვანეთ, სოფელში არ ჩავიყვანდით და უკან სახლისკენ დაბრუნდებოდით. ჩვენი აზრი-კი მხოლოდ ის იყო, მიგვეყო პოლიციისგან ოქმი ტეის გაჩხისა, გაგვეგო ვინ და სად წაიყო წინეთ ჩვენგან ნახული მასალა და ვინ იყო ის კაცი, რომელიც ხეს სჭრიდა ტეეში. რომ ჩვენ ჩვენს დღეში არ გვიხმარია გლეხებზედ არავითარი ძალმომრეობა და არ მოგვიტანია მათთვის საქონელი, ამას ადიარებენ უველანი ჩვენნი მტრობნი. აშკარაა, ადელვება ხიზნებისა მამულიდამ აერაა.

თ. ვენო (იგივე თეიმურაზ) ივანეს ძე ამილახვარი.

მადლობის გამოცხადება

I

ბ-ნო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ ნება მიბოძოთ თქვენის პატივცემულის გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა გამოვუცხადო კნეინა ტასია გურიელისას, რომელმაც, მატერიალურ შემწეობის მსაჭიროებელს, ღარიბს ოზურგეთის ნამრევლო ორ-კლასიან სკოლას შეწირა ოც და ათი მანეთი. კნეინა გურიელისა მით უფრო მადლობის ღირსია, რომ ეს შემწეობა ხსენებულ სკოლისთვის პირველი არ არის.

მოლარე ოზურგეთის სამრევლო სკოლის კომიტეტისა მზეხა ხუნდაძისა.

II

ბ-ნო რედაქტორო!

გთხოვთ ნება მოგვცეთ თქვენის გაზეთის საშუალებით მადლობა გამოვუცხადოთ ვასილ ბეყანიშვილს და სიმონ ქვარიანს, რომელთაც კეთილ ინებეს და შემოსწირეს ჩვენს ბიბლიოთეკას შემდეგი წიგნები: პირველმა ა. ცაგარლის დრამები ნაწ. II და ცხოვრების სარკე II-რე ნაწილი; ხოლო მეორემ თავისი თხზულებანი.

ოდესის ქართველ სტუდენტების მონდობილობით

სტ. ზ. მაჩაბელი.

III

ბ-ნო რედაქტორო!

27 მაისს ბახვის (გურია) ორ-კლასიან სკოლის მოწაფე, გვარად ფიფია დაჭკინა ცოფიანმა ძაღლმა. რადგან მამას ფიფიასას არავითარი შემწეობის აღმოჩენა არ შეეძლო და თვითონაც ავადმყოფი იწვა, ამისთვის ჩემის თხოვნის თანხმად ბ-ნმა ომაინ ნაკაიძემ თავის ნაცნობთა შორის შეჰკრიბა თერთმეტი მანეთი და 56 კაპ., რომელიც გადმომცა მე, როგორც სკოლის მზრუნველს, ბავშვის საექიმოდ.—ამას დაუმატეთ ბახვში შეკრებილი მასწავლებლისაგან ოთხი მანეთი და 83 კაპ. და ამ ფულით მოწაფე გავისტუმრეთ ტფილისში პასტერის სადგურში საექიმოდ.

ვწირავთ უღრმეს მადლობას, როგორც ბ-ნს ომაინ ნაკაიძეს, ისე იმათ, რომელთაც თავიანთი წვლილი არ დაიშურეს იმისთვის, რომ საზარელ საკვდილის კლანჭებიდგან დაეხსნათ საწყალი ბავშვი.

ბახვის ორ-კლასიან სამინისტრო სკოლის მზრუნველი იაგორ ჭელიძე.

„ივერიის“ ფოსტა:

სტეფან-წმიდა. ბ-ნს გარეშეს. თქვენი გამოგზავნილი ამბავი დაგვიანებულია.

ჭიათურა. ბ-ნს იამანიძეს. შუქრუთიდგან მოწერილი კორესპონდენცია არ დაიბეჭდება. მაგ საგანს ვერ შევეხებით.

ჭალა. ბ-ნს ერთგულს. თქვენი კორესპონდენცია არ დაიბეჭდება.

დ ე პ ე შ ა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

1 ივნისი

პეტერბურგი. მისი უმაღლესობა მთავარი ბოლგარიისა ფერდინანდი დაინიშნა მინსკის მე-54 ქვეითა რაზმის შეფად.

„პრავიტ. ვესტნიკ“-ში დაბეჭდილია ცნობანი შესახებ სხდომებისა სამოსწავლო ნაწილის მოსაწყობად. აზრადა აქვთ პირველ და მეორე კლასში დაიცვან 1901 და 1902 წ.წ. სამოსწავლო გეგმა, პირველ კლასში—გერმანული ენა; მესამე კლასიდგან დაიწყება ლათინური და ერთიც ახალი ევროპიული ენა და თავდება შესწავლა ცნობებისა ბუნების შესახებ; მეოთხე კლასისათვის—თუ ორი ხარისხის გიმნაზია დარჩება, ერთის ანუ ორის ძველის ენის სწავლებით უფროს კლასებში—შემოიღება ორი ტაბლიცა გაკვეთილებისა მესამე კლასიდგან შეუცვლელად რჩება კვირეული გაკვეთილების რიცხვი, სამოსწავლო გეგმა და პროგრამები და ტაბლიცები 1890 წ. და 1900 წ.; რეალურ სასწავლებლებში პირველ და მეორე კლასებში რჩება 1901 წ. დებულება, ხოლო დანარჩენ კლასებისათვის 1895 წლისა. ამასთანავე პირველ კლასში ასწავლიან მარტო გერმანულ ენას. კომისიის აზრი გადაეცა სამოსწავლო კომიტეტს.

31 მაისს მთავარი ფერდინანდი გამოემშვიდობა თათ უდიდებულესობას. ფერდინანდი მიწვეულ იქმნა მათ უდიდებულესობათა სადილზე.

ოდესა. ნიკოლოოზის ბულვარის აღმართზე გაიყვანეს ელექტრონის რკინის გზა, რომელიც აერთებს ქალაქსა და ნავთ-სადგურს.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ. ლორდ-მერისა და სიტის კორპორაციების მილოცვაზე მეფემ გულითადი მადლობა გადაუხადა ყოვლად შემძლებელს ღმერთს ბრძოლის გათავებისათვის, რომელმაც ბევრნი იმსხვერპლა, მაგრამ სახელმწიფო გააძლიერა. მეფემ მოიხსენია ლაშქრის სიმამაცე და დასძინა—იმედი მაქვს, რომ ყოფილნი მოწინააღმდეგნი მეგობარნი გახდებიან ᲩᲥ სამხრეთ-აფრიკაში დამყარდება მშვიდობიანობა და კეთილ-დღეობაო.

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ. მთავრობას ნდობა გამოეცხადა 309 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 117-ისა. კენჭის ყრაში 149 არ მიიღო მონაწილეობა; ამათ შორის იყვნენ თითქმის ყველა ზომიერი რესპუბლიკანელი და ყველა სოციალისტი.

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ. უწმიდესმა სინოდმა დაადგინა, რომ ეკლესიებსა, მონასტრებსა და სამლოცველოებში 1903 წლ. 1 იანვრიდან ქუსტზე დაბეჭდილი ხატები არ იხმარონ.

ᲙᲘᲔᲕᲘ. თავად-აზნაურთა საგანგებო კრებამ დაადგინა სოფ. მიხაილოვკაში პუშკინის ხსოვნის სახსოვრად გამართოს თავ-შესაფარი ქვრივ-ობლებისა და იმ ავადმყოფ ლიტერატორებისათვის, რომელთა მორჩენაც შეუძლებელია. დაადგინეს იშუამდგომლონ, რომ ეს მამული თავად-აზნაურობას გადაეცეს, რათა შემოსავლით შეიძლებოდეს ამ თავშესაფარის შენახვა.

ᲰᲔᲚᲡᲘᲜᲒᲤᲝᲠᲡᲘ. უმაღლესის რესკრიპტის ასასრულებლად ხელ-ახლა მოუწოდეს ყმაწვილ-კაცთ სამხედრო ბეგრის ასასრულებლად. ორი საზოგადოებიდგან ისევ წინანდელი რიცხვი გამოცხადდა—ოთხი კაცი.

2 ივნისი

ᲑᲝᲒᲠᲣᲘᲡᲙᲘ. ცეცხლისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ უმაღლესად ნაბოძებ 50,000 მან. გამო მრავალის ხალხისა და ადმინისტრაციის თანადასწრებით გადაიხადეს სამადლობელი პარაკლისი. ხალხი „ურა“-ს გაიძახოდა.

ᲨᲔᲛᲐᲮᲐ. შემახის მცხოვრებლებმა, რომელთაც წვრილ-წვრილი ნაჭრები აქვთ მიწისა და რომელთაც არ ჰსურდათ ახლად მიზომილ ადგილებზე გადასახლება, ხუთასი თხოვნა მისცეს და ითხოვეს ადგილები. კომიტეტი ღარიბებს ეხმარება ფულით და სახლის ასაშენებელ მასალით.

ᲒᲐᲚᲐᲯᲐᲠᲐ-ᲑᲐᲥᲝ. გუბერნიაში, კარგის მოსავლის მოლოდინში, სამანუფაქტურო ვაჭრობა გაცხოველდა. ნავთი ნაკლებად იყიდება; ზოგმა ნავთი გაჰყიდა ფუთი 9 კ. სპარსეთის ფულის ფასი დაეცა, სპარსული თუმანი 1 მ. 68 კ. ღირს, რადგან სპარსეთში საზოგადოთ ვაჭრობა დაეცა და ვერცხლიც გაიაფდა.—განჯის გუბერნიაში ყურძნის მოსავალს კარგს ელიან.

ᲞᲔᲙᲘᲜᲘ. თერთმეტ სახელმწიფოს წარმომადგენელმა, რომელთაც ხელი უწერიათ მშვიდობიანობის ოქმზე, დღევანდელ კრებაზე ხელი მოაწერეს ოქმს, რომელშიაც აცხადებენ, რომ შეთანხმდნენ ჩინეთისაგან მისაღებ სამხედრო საზღაურის განაწილებაზე.

ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ. მეორედ განხილვის შემდეგ პალატამ უცვლელად მიიღო პროექტი პოლონელთა შესახებ.

ᲕᲔᲜᲐ. ჩეხთა კლუბი იუწყება, რომ რაკი მთავრობა ენის საქმეში დაჰპირდა დაკმაყოფილებას ჩეხებს, პარლამენტში მუშაობას უმშრად განაგრძობენო.

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ. „ლანტერნე“ იუწყება, რომ გენერალი ბონნალი, სამხედრო სკოლის დირექტორი, რომელსაც უსახელო საჩივრით ჰბრალდება მემკვიდრეობის დაჩემება, მიეცა დისციპლინალურ სამართალშიო. დისციპლინალურ სასამართლოს განაჩენი გადაეცა სამხედრო მინისტრს, რომელზედაც დამოკიდებულია საქმის დაბოლოვება. საქმე შინაურია და სამხედრო დანაშაულობასთან კავშირი არა აქვს.

3 ივნისი

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ. დიდის მთავრის ვლადიმირის ასული ელენე დაინიშნა მის უმაღლესობა საბერძნეთის მეფის შვილ ნიკოლოზზე.

2 ივნისს კრასნოე სელოში მათის უდიდებულესობის თანადასწრებით იყო პარადი ლეიბ-გვარდიის იზმაილოვის რაზმისა.

ᲰᲔᲚᲡᲘᲜᲒᲤᲝᲠᲡᲘ. პეტერბურგის სამოსამართლო პალატის უფროსი თავმჯდომარე დეიტრიხი დაინიშნა ფინლიანდიის გენერალ-გუბერნატორის თანაშემწედ.

ᲧᲐᲠᲡᲘ. ნება დართულ იქმნა გაიხსნას დედათა პირველი პროგიმნაზია.

ᲙᲘᲔᲢᲘᲒᲝᲠᲡᲙᲘ. სამკურნალო სეზონი დაიწყო. კისლოვოდსკში აკურთხეს ახალი პარკი, შენობა და სასტუმრო. ქელეზნოვოდსკში აკურთხეს „წითელი ჯვრის“ საერთო შენობა, 60 კაცისათვის აგებული.

ᲞᲠᲔᲢᲝᲠᲘᲐ. აქამომდე დამორჩილდა ინგლისს 15,117 ბური, ამათ რიცხვში 835 კაპელი მეომბოხე. გენერალ ვილონელ-სელიეს ევრედ წოდებულ „ეროვნული ჯარი“ ბურთა რაზმებისა, რიცხვით 6,000 კეცი, 4 ივნისს დათხოვნილ იქმნა. ბოტა, დეეტი და დელარეი მომავალ თვეში ევროპაში წავლენ.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ. 2 ივნისს, საღამოს, „რეიტერის სააგენტო“ იუწყება, რომ დელარეი დაჰნებდა 800 კაცით ლიხტენბურგთანაო.

ᲡᲚᲮᲣᲛᲘ. მოსკოველი კაპიტალისტი იგუმნოვი მდინარე ბზიბზე, გაგრის მახლობლად, აშენებს ქარხანას თევზის კონსერვების საკეთებლად. მანვე საცდელად დასთესა ბამბა.

ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲐ. საფრანგეთის კაპიტალისტთა წრემ გენერალ-გუბერნატორს სთხოვა კონცესია ვარშავაში საუკეთესო საყასბოს აშენებისა. ესენი პირობას სდებენ ყველა შენობები საკუთარს მიწაზე ააგონ თავიათი ხარჯით და სამის წლის განმავლობაში ქალაქს აძლიონ 200,000 მან. წელიწადში და 40 წლის შემდეგ გადასცენ ქალაქს საკუთრებად.

ᲝᲓᲔᲡᲐ. ბუდაპეშტიდან მოსულმა სამეცნიერო ექსპედიციამ, რომელიც შესდგება ორის პროფესორისა და 17 სტუდენტისაგან, დაათვალიერა ქალაქი; აქედამ ყირიმსა და კავკასიაში მიემგზავრებიან.

3 ივნისი

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ. გელსინგფორსიდგან გვატყობინებენ, 1 თიბათვის ტელეგრამის დასამატებლად, რომ სამხედრო ბეგარაში გაწეულ საწვევად გამოცხადდა წინანდელ რიცხვთა რაოდენობა, სახელდობრ 30%-დის.

ᲑᲐᲥᲝ. ბალახანაში ცეცხლი წაეკიდა ნობელის ნავთის შადრევანს, რომელიც დღეში 200 ფუთს ნავთს ისროდა. შადრევანიდგან ამოვარდნილი ქვა მოჰხვედრია მანქანის სატრიალებელ ბორბალს, რასაც ცეცხლი გაუჩენია.

ᲐᲡᲮᲐᲑᲐᲓᲘ. გუშინ აქ გახსნილ იქმნა შუა აზიის რკინის-გზის ხარჯზე მზის სხივების სამკურნალო.

ᲮᲐᲠᲙᲝᲕᲘ. ტროიცკის იარმარკა ოფიციალურად გაიხსნა.

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ. თავადის ნიკოლოოზის დანიშვნის გამო ბერძნების ეკლესიაში გადახდილ იქმნა წირვა, რომელსაც დაესწრნენ რუსეთის საელჩოს წევრნი და რუსეთის და საბერძნეთის ახალშენების წარმომადგენელნი.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ. გვირგვინის კურთხევის დღესასწაული დაიწყო. ალდერშოტში პარადზე 31,000 კაცზე მეტი დაესწრო. მეფის წარმომადგენელად პრინცი უელსისა იყო.

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ. 3 თიბათვეს ხელმწიფე იმპერატორი და დედოფალი იმპერატრიცა ალექსანდრიაში გამოეთხოვენ იმ ჯარის კაცებს, რომელთაც სამსახურის ვადა გაუთავდათ და ინახულეს ისინი, რომელნიც ახლად შემოვიდნენ სამსახურში. „საფინანსო უწყებაში“ დაბეჭდილია მასალა, რომელიც გარდაეცა სამეურნეო საჭიროებათა განსაკუთრებულ კომისიას.

4 ივნისი

ᲰᲔᲚᲡᲘᲜᲒᲤᲝᲠᲡᲘ. სამხედრო ბეგრის მოსახდელად მოწვევა განმეორებულ იქმნა; გამოცხადდა სამოც-და-ათი და წინადაც ათი; კუნჭი ამოიდო ცხრამეტმა.

ᲑᲠᲝᲜᲖᲘ. ნიადაგი კვლად იძრა.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ. მეფე ამ ჟამად უკეთ არის; თანახმად მრშრუტისა, სდამოს 6 საათზედ ვინდზორში იქმნება.

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ. საარჩევანო აგიტაციაში მონაწილეობის მიდებისათვის მინისტრ-პრეზიდენტმა ექვსს სასულიერო პირს ჯამაგირის დაწერა გადუწყვეტა.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ. დღეს დაიწყო მოსკოვის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებასთან თანასწორ მინისტრის ამხანაგის კოვალევსკის თანდასწრებით ბჭობა ხორცისა და ფრინველის ინგლისში გატანის შესახებ.—ჩაიყარა საძარგველი ადნიშნულ საზოგადოების გამოფენის შენობისა.—ბოდგარიის მთავარი იყო მცხოვრის ტაძარში; ასამდღებელზედ მოიხსენიეს მთავარი, მთავარის ძე და ბოდგარიის ხალხი. დღეს მთავარი კიევში წავიდა.

ᲕᲚᲐᲓᲘᲕᲝᲡᲢᲝᲚᲙᲘ. დღეს შესრულდა სამხედრო სასამართლოს განაჩენი ავაზაკთა ბრბოს ოთხის უაზდის ჩამოდრჩობის შესახებ.

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘᲡ ᲑᲘᲠᲟᲐ, 31 მაისი.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	94,15
ბერლინში 100 მარკაში	—
პარიეში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,85
ბერლინში ,,	46,30
პარიეში ,,	—
ბირჟის დისკონტი	4½—6½%
4% სახელმწიფო რენტა	96⅞ გაყ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	98⅝ მყიდ.
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა	—
5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1861 წ.	472 გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	361 მყიდ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	291¾ წვ. გაყ
4½% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ.	—
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	—
4½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა	—
6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	89¼ გაყ.
პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	—
აქციები ,,	—
,, კასპიის ამხანაგობისა.	4700 წვ. გაყ.
,, ბაქოს ნავთის საზოგად.	442 წვ. გაყ.
,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად.	185½ წვ. გაყ.

ᲧᲝᲕᲔᲚ-ᲓᲦᲣᲠᲘ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ ᲪᲜᲝᲑᲐᲜᲘ:

რკინისგზის მატარებლების მიმოსვლა 18 აპრილიდგან 1902 წლისა

(საათი და წუთები უჩვენებენ ტფილისის დროს).

	მოდის ტფილ.	გადის ტფილ.
ᲑᲐᲥᲝ.		
სწრაფი მატარებელი (პარასკეობით)	3 ს. 43 წ. დღ.	11 ს. 49 წ. დილ.
ფოსტის „ (ყოვ.-დღე)	4 ს. 54 წ. დღ.	1 ს. 34 წ. დღ.
სამგზავ. „ „	8 ს. 37 წ. დილ.	8 ს. 22 წ. საღ.
ᲑᲐᲗᲣᲛᲘ.		
სწრაფი მატარებელი (ყოველ-დღე)	10 ს. 2 წ. დილ.	7 ს. 43 წ. დილ.
ფოსტის „ „	12 ს. 32 წ. დღ.	6 ს. 7 წ. საღ.
სამგზავ. „ „	7 ს. 37 წ. საღ.	9 ს. 27 წ. დილ.
ᲧᲐᲠᲡᲘ და **ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜ.**		
ფოსტის მატარებელი (ყოველ-დღე)	7 ს. 18 წ. დილ.	9 ს. 28 წ. საღ.
ამგზავრო და საქონ. (მხოლოდ ალექსანდროპოლამდე და ალექსანდროპოლიდგან)	4 ს. 35 წ. დღ.	3 ს. 13 წ. დღ.
ᲑᲝᲚᲠᲯᲝᲛᲘ.		
სამგზავრო მატარებელი (ყოველ-დღე)	6 ს. 57 წ. დილ.	6 ს. 22 წ. დილ.
სამგზავრო „ „	9 ს. 53 წ. საღ.	2 ს. 28 წ. დღ.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲐ საყოველთაოდ აცხადებენ, რომ პირველ ამა ივნისიდგან განსაკუთრებულ განკარგულებამდე **ᲒᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲓᲐᲘᲬᲧᲔᲑᲐ** დილის 9 საათზედ და დამთავრდება ნაშუადღევის 2 საათზედ. ფულის მიღება და გატანა ქალაქის კასიდგან გათავდება ყოველ დღე ნაშუადღევის პირველ საათზედ. (3—ნ.—2)

ქუთაისის გუბერნიაში **ᲘᲫᲚᲔᲕᲐ ᲘᲯᲐᲠᲘᲗ** ათი წლის ვადით შეღავათიანი პირობებით სასარგებლო ექსპლოატაციით **მამული ა. ი. ზუბალაშვილისა**—სანადელო და ჩამოჭრილი მიწები, ტყეები, სახნავ-სათესი და საბალახო ადგილები—მდებარენი: რაჭის მაზრაში—სხვა-და-სხვა სოფლებში და შორაპნის მაზრაში—სოფ. მუხურაში. დაწვრილებითი ცნობები და იჯარის ფასის რაოდენობა მსურველთ შეუძლიანთ გაიგონ ქ. ქუთაისში ნაფიც ვექილ გიორგი აკოფაშვილთან—ან-და ყვირილის რკინის გზის სადგურზედ ა.ზ.არჩილ გიორგის ძე ჯაფარიძესთან. ვაჭრობა*) შეუძლიან ყველას: ჩინოვნიკებს, თავადაზნაურთ, გლეხებს და უცხოელებს.

*) Конкурировать.

(1—354—2)

Т-во Высшей парфюмеріи

А. Ралле и К-о

„Одеколонъ Озонъ для дезодораціи воздуха въ комнатахъ и общаго туалета“

ᲛᲝᲚᲘᲗᲮᲝᲕᲔᲗ ᲧᲕᲔᲚᲒᲐᲜ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘ

„ᲝᲓᲝᲚᲒᲠᲘᲜᲘ“ მ. ვ. ლეგედევისა

ეს წამალი სრულიად აქრობს რამდენსამე დღეში ძველს ბებერას და მეტ-ხორცს ძირიან-ფესვიანად. მხოლოდ ეტიკეტი უნდა ჰქონდეს, მთავრობისაგან დამტკიცებული № 22473.

იყიდება ტფილისში—სააფთიაქო საქონლის კავკასიის სავაჭრო ამხანაგობასა და მის განყოფილებებში ბაქოსა და ბათუმში.

(33—ნ.—12)

წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება ორი ახლად დაბეჭდილი წიგნი:

ᲧᲝᲕᲔᲚᲘᲡ ᲛᲮᲠᲘᲓᲐᲜ

ეტიუდი სოფლის ცხოვრებიდგან არბოელისა

ფასი 10 კ.

და

ᲛᲝᲗᲮᲠᲝᲒᲑᲐᲜᲘ

დავ. კლდიაშვილისა ფასი 30 კ.

ᲬᲔᲠᲐ-ᲙᲘᲗᲮᲕᲘᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲬᲘ�გᲜᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲙᲣᲚᲘ ᲬᲘ�გᲜᲔᲑᲘ:

სუმაწვიდო ამბები ეკ. კაბაშვილმა	„ 30
საქართ. ისტორია ბროსესი I-II ნაწ.	1 40
Земельные вопросы и преступность на Кавказѣ Г. Тумановъ	„ 60
სალიტერატურო ქართული. სილოვან ხუნდაძის გამოკვლევა	1 მ. „
მოთხრობანი დ. კლდიაშვილისა.	„ 30
ყოველის მხრიდგან. არბოელისა.	„ 10
ისტორია ბავშვის სულის მდგომარეობისა	„ 50
ამბავი და მოთხრობანი, გრ. ეიფშიძისა	„ 15
ახუნდი, ვაჟა-ფშაველასი	„ 5
ანტონიოს და კლეოპატრა, შექსპირისა	„ 30
აბო ტფილელი, ე. კ.	„ 30
Або Тифлисскій, Е. К.	„ 5
Грузинскій отрывокъ Калилы и Димны, А. Хахановъ	„ 60
გიორგი და მიხეილი	„ 10
რ. აბაშიძისა	„ 60
დ. კაბრუაშვილისა	„ 25
მელის წიგნი, კ. თაყაიშვილისა	„ 40
მუშათა კითხვა	15 „
მოგზაურობა იერუსალიმში, დეკ. ბ. ყიფიანისა	1 „
მოძღვრებანი, ი. გამრეკელისა.	„ 40
Древній Анчисхатскій соборъ. Карбеловъ.	„ 20
ქართველი წმიდანები, გ. იოსელიანისა	„ 40
შრომა და ბედნიერება, თარგ. ნინიძისა	„ 30
ჩანგი, ვ. აბაშიძისა	1 „
ჩემი ახრი და ფიქრები, ს. ხუნდაძისა.	
Царица Тамара, М. Джанашвили.	„ 50
ტისარტველა, ავ. ცაგარელისა	„ 30
ცხოვრების სარკე II, გამოც. ი. იმედაშვილისა	1 „
Характеристики и воспоминанія Г. Туманова	„ 50
დედა, ანდერსენისა	„ 8
Краткій очеркъ Грузинской народной музыки, И. Карга. ретели	30 „
კუბიკები ქართველის ანბანისა	1 მ. „
დექსები განდეგილისა	„ 20
ეკდოშვილისა	„ 50
დამონებულნი, თარ. ი. სახოკაისა	1 მ. „
დაუჯდომელი წმ. ნინოსი	„ 20
Двѣ святыны въ Кахетіи, Е. К.	„ 10
Давидъ Гареджели, Е. К.	„ 15
ეტიუდები, თ. ხუსეინაძისა	„ 15
ლენე, მოთხრობა	„ 5
Вступленіе Грузіи въ составъ Росс. имперіи, М. Хелтуплишвили	„ 40
Назрѣвшій Е.ропов съ, К.	„ 20
ოცი წლის წინად, გ. წერეთლისა	„ 5
Очерки по истор. Грузин. словесности, т. III Хахановъ.	„ 3
ამბავი ბალის ქვისა	„ 5
ავდო საუმაწვიდო, მოთხრ. ი. გოგებაშვ.	„ 15
ათონის ივერიის მონასტრის ხელთ-ხაწერი	1 მ. „ 50
ბერანყე, თარგ. გ. გვაზავასი	„ 40
ბენია.	„ 10
ბუნების სარკარი მოგზენანი, ს. ჯუღელისა	„ 15
ბაში-აჩუკი, აკაკისა.	„ 30
ბუნება სურათებში, ი. ადხაზიშვილისა	1 მ. „ 30
გლეხი-კაცის ისტორია, III—IV ტ.	1 მ. „ 20
ადშზრდელი, აკაკისა	„ 5
გასართობი	„ 10
გოგებაშვილი იაკობ, ზ. ჯ—სა	„ 15
გუსტავ ვაზა	„
ბატარა ლორდის თავგადასავალი	„ 30
ბატრა ვეფხვის ტყაოსანი.	„ 25
რამაზ განდეგნა, თარგ. ალ. ს—შვილისა	„ 40
სიტყვიერების თეორია, ეპ. კირიოსანისა და გრ. ეიფშიძისა	1 „
სხარტაკი, თარგ. ნ. ეიფიანისა.	„ 60
აერო დღესასწაული	„ 25
Въ Барсовой кожѣ, Мкинвари	1 р. „
ზურაბის კოშკი, ივ. ბ—ლისა.	3 „
Заслуги Грузинскаго монашества, Е. К	„ 30
ოხუნდენანი ვაჟა-ფშაველასი	1 „
თეორია სიტყვიერებისა, კელენჯერიძისა	„ 40
თამარ-დედოფლის სამკაული	„ 10
თამარ დაზნელი, ან. ფურცელაძისა	„ 50
ისტორია ქართულ სტამბებისა	„ 15
ანანიარიდ., ნახუცრიშვილისა.	„ 40
კონსპექტები საქართველოს ისტორიიდგან I—II ნრ. ქუთათელაძისა	„ 60
სამეგრელოს ადწერა, თარ. ა. ჭეონიასი	1 „
სამხრეთი საქართველო, ზ. ჯ-სა	„ 30
სუმაწვიდო ამბები, კეკ. კაბაშვილისა.	„ 50
სუმბული, ს. ქვარიანისა.	„ 20
ტარტეფი, თარგ. ივ. მაჯავარიანისა	„ 50
უკვდავთა დადებანი, მ. ჯანაშვილისა	„ 15
მეცნიერებისთვის წამებულნი	1 „
Мцхетъ и его Соборъ, А. Натроева	1 50
ნელი და ბატარაში, თრ. ელ. წერეთლისა	„ 10
ნათელა, აკაკისა	„ 20
ნიკოლოზ ნიკოლაძე, ზ. ჯ—ისა	„ 20
ნამდვილი სამსახური ბატარენკოსი	„ 40
Новая постановка педагогическаго дѣла.	„ 20
სამი ბოკმა, ან. ფურცელაძისა.	„ 50
სხივი წარსულისა, ი. გოგებაშვილისა.	„ 5
სასარკო თავგადასავალი ტახტის მემკვიდრისა, ი. გოგებაშვილისა	„ 10
სახუმარო გასართობი	„ 10
ქართული სახალხო სიმღერები, ი. კარგარეთელისა	„ 50
ქრისტინე, ე. ნინოშვილისა	„ 20
ქართული მწერლობა, მ. ჯანაშვილისა	„ 40
ქეთო და სანა, სუმაწვიდო მოთხრობა	„ 5
ქართველების კათორება, ზ. ჯ—ისა	„ 25
კობერნიკიდან დარვინამდე	„ 10
კანდელი, მ. დელაშვილისა	„ 15
Краткій очеркъ исторіи Грузинской церкви, Е. К.	1 р. 50 к.

ᲐᲛᲮ. „ᲞᲔᲠᲔᲘᲩᲔᲕᲘ ᲓᲐ ᲙᲐᲛᲔᲜᲛᲐᲮᲔᲠᲘ“

ღირს-ქმნილი თეისის სტამბის საქმეთათვის ბათუმში 1901 წლის კავკასიის საიუბილეო გამოფენის **ᲛᲔᲓᲐᲚᲘᲡᲐ**

და გაზეთ „Тифл. Лист.“-ის ფრიად სასიამოვნო მოწონებისა (№ 277, 1901 წ.) აუწყებს ყველას, რომ მიხეილისა **და** ნემცების ქუჩის კუთხეში, სლივიცკის სახლში გაჰმართა

ᲡᲢᲐᲛᲑᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲮᲐᲖᲐᲕᲘ,

რომელნიც მოწყობილია ტეხნიკის ყოველ მოთხოვნილებისა თანხმად და ამიტომ შეეძლება ყოველ-გვარი სასტამბო და სახაზავი სამუშაო შეასრულოს ყოველ ევროპიულსა და აქაურ ენაზედ

ᲙᲝᲮᲢᲐᲓ, ᲡᲬᲠᲐᲤᲐᲓ ᲓᲐ ᲘᲐᲤᲐᲓ

23 მარტიდგან სტამბის კანტორა ღიაა ყოველ-დღე. სტამბაზედ მოშორებით მცხოვრებნი მუშტარნი არ შესწუხდნენ სტამბაში მოსვლით, „ვერეიჩევისა და კამენმახერის“ ამხანაგობას მრავლად ჰყავს მოსამსახურე ხალხი, რომელნიც სურვილისამებრ ეახლებიან და მიღებენ მუშტართაგან საქმეებს. ტელეფონი № 852.

(25—309—24)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 4 іюня 1902 г. Типографія «Гутенберга» (кн. Гр. Н. Діасамидзе), Дворцовая, д. Груз. Дворянства. დროებითი რედაქტორი ა. ი. სარაჯიშვილი. გამომცემელი ი. ბაბალაძე.